ხელშეკრულება №05

„ 08 “ იანვარი 2024 წ. ქ.გორი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1 “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტისა და 2015 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის “ა” პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (მისამართი: ქ.გორი, ფერაძის ქ. №5) სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ შაყულაშვილის სახით და მეორე მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/შემსრულებელი**) იამზე თინიკაშვილი (მისამართი:ქ.გორი,) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საზოგადოებასა და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის ინფორმაციის გავრცელების მენეჯმენტი, PR და საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება, დაგეგმვა, საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს მჭიდრო კონტაქტი მედიასაშუალებებთან, მესამე სექტორთან, იმისთვის, რომ რწმუნებულის სამსახურისათვის ცნობილი იყოს საზოგადოებაში არსებული ყველა პრობლემის შესახებ და ასევე, მიმდინარე რეგიონულ პროექტებსა თუ სხვა სახელმწიფო სერვისებზე მოქალაქეებს დროულად მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია. (CPV794 16 - საზოგადოებასთან ურთიერთობა).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 4860 (ოთხი ათას რვაასსამოცი) ლარით.
3.2 მომსახურების ღირებულება შეადგენს თვეში 405 (ოთხასხუთი) ლარს, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 81 (ოთხმოცდაერთი) ლარს.

4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია თანხის გადარიცხვა განახორციელოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, რომელიც გაფორმებული უნდა იქნეს თვეში ერთხელ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
8.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.
8.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4 (ოთხი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება და/ან არაჯეროვნად შესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
8.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვევულ იქნა ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა დაუძლეველი ძალით. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას)

გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
12.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
12.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის აპარტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.
12.4. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
13.5 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი: გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტარცია,
სახელმწიფო რწმუნებული
მიხეილ შაყულაშვილი
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა _____

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 101001000
საინდეტიფიკაციო კოდი: 217889514

მიმწოდებელი: იამზე თინიკაშვილი
(მიმწოდებელის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა _____

Iamze Tinikashvili

Digitally signed by Iamze Tinikashvili
Date: 2024.01.18 15:45:28 +04'00'

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE60TB4386845061622343
პ-ნ: 59001022242

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი „ 08 „ იანვარი 2024 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ქეთევან ციმაკურიძე

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში მეორე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი გვანცა ცომაია

ADMINISTRATION OF THE STATE REPRESENTATIVE IN GORI KASPI KARELI KHASHURI MUNICIPALITIES
Digitally signed by ADMINISTRATION OF THE STATE REPRESENTATIVE IN GORI KASPI KARELI KHASHURI MUNICIPALITIES
Date: 2024.01.18 15:19:17 +04'00'